ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №931671

ნომერი: AR1164416

თარიღი : 25.09.2013

გაცემის თარიღი : 03.10.2013

გაცნობის თარიღი : 17.11.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თორნიკე ერისთავი , N1 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ავთანდილი მოსიძე პ/ნ 12002000071
- თბილისი კახეთის შეს. N 2

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

## გადაწყვეტილება

I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი , ქუჩა თორნიკე ერისთავი , N1–ში ს/ს "ჩარხი–ხაზი" –ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. N 036/002), I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობის განხორციელებას . პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ "თბილისის არქიტექტურის სამსახური". "მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად არქიტექტურის სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის ( მოქ. ავთანდილი მოსიძის განცხადება,
ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882010669642 საკადასტრო კოდი N 01.12.08.036.002 ფოტომონტაჟი და შენობის განთავსების სიტუაციური გენ–გეგმა) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი ,ქუჩა თორნიკე ერისთავი , N1–ში, ს/ს "ჩარხი–ხაზი" –ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. N 036/002), I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ : შენობა–ნაგებობების მშენებლობისას ვალდებული ხართ დაიცვათ კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები:

1 საკადასტრო საზღვრიდან 3 მეტრზე ნაკლები მანძილით დაშორების შენთხვევაში სამეზობლო მიჯნის მხარეს დაუშვებელია კედელში ხვრეტების მოწყობა (კარის,ფანჯრის, ფრამუგის შესაძლებელია მინაბლოკის მოწყობა);
2 სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზღვარზე,მომიჯნავე მეზობლის მიწის ნაკვეთის მხარეს შენობის სახურავის მოწყობისას დამკვეთმა/ მესაკუთრემ უნდა უზრუნველყოს ისეთი საინჟინრო ღონისძიების განხორციელება, რაც ააცილებს ატმოსფერული ნალექის მოხვედრას მეზობლის მიწის ნაკვეთში;
3 სამეზობლო მიჯნის მხარეს, საკადასტრო საზღვრიდან შენობის კიდემდე 5 მეტრზე ნაკლები მანძილით დაშორებისას, სამშენებლო მასალად გამოყენებული უნდა იქნას ცეცხლგამძლე–არაწვადი მასალა ან მისი ზედაპირი დამუშავებული უნდა იქნას ცეცხლგამძლე ხსნარით;

---

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.